პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 228 (9895) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1988 წლის 28 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ". ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

პლენუმზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება „2005 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტის მოსამზადებლად გაწეული მუშაობის შესახებ". პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

პლენუმმა დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ შექმნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიათა პერსონალური შემადგენლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია

29 ნოემბერს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთორმეტე სესია. იგი გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ე. კ. ლიგაჩოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. ვ. ვლასოვს, დ. ტ. იაზოვს, ა. ი. ლუკიანოვს, ი. დ. მასლიუკოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ო. დ. ბაკლანოვს.**

სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ე. ვოსმა.**

ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.
2. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

საკითხები შემოიტანეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. წინადადება სესიის დღის წესრიგში მათი შეტანის შესახებ მოიწონეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოებმა.

სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი.** მოხსენება დამსწრეთ მოისმინეს ყურადღებით და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

„ლელოს" რედაქციას

საქართველოს კპ ვანის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის 1988 წლის 30 ოქტომბრის ნომერში, სადაც გამოქვეყნებულია რესპუბლიკის სპორტული ნაგებობების რუკა, მინიშნებული არ არის ვანის რაიონი. ჩვენთან არის რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტული ნაგებობა, რომლის ზომაა 30X18 მეტრი და განკუთვნილია სპორტული თამაშებისთვის. ამავე შენობაში მოთავსებულია აგრეთვე კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი ზომით 24X12 მეტრზე.

ზემოაღნიშნულ სპორტულ ბაზაზე შეუფერხებლად მუშაობს ფრენბურთის, კალათბურთის, ძიუდოს, თავისუფალი ჭიდაობის სექციები, აქვე გახსნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფები. სპორტულ დარბაზს აქვს კეთილმოწყობილი საშხაპეები, გასახდელი, საუნა ორთქლის აბანოთი და სააბაზანოთი, გვაქვს კვების ბლოკი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და ვანის რაიონი ჩართოთ სპორტული ბაზების ეფექტიანად გამოყენების რესპუბლიკურ დათვალიერებაში. ამასთან, გთხოვთ რესპუბლიკის სპორტულ რუკაზე აღნიშნოთ ჩვენი რაიონი.

ნ. ანდრიაძე,
საქართველოს კპ ვანის რაიკომის მდივანი.
ჯ. კაპანაძე,
ვანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

რედაქციისაგან: ვანის რაიონის ხელმძღვანელებს მადლობას მოვახსენებთ ყურადღებისათვის და ჩვენს მიერ წამოწყებულ ღონისძიებაში მონაწილეობის დიდი სურვილისათვის. თხოვნა გათვალისწინებულია, გვიხარია, რომ რესპუბლიკის სპორტულ რუკას მიემატა კიდევ ერთი ობიექტი, ამასთან ისეთი ობიექტი, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სპორტის სამსახურში დგას.

როგორც უნდა გვიხაროდეს ვლადიმერ აფციაურის ტრიუმფი სეულის საფარიკაო ბილიკზე, იგი მაინც ვერ დაფარავს ყველა იმ პრობლემას, რომლის წინაშეც ჩვენი ფარიკაობა დგას. ამ დიდი წარმატების მიღმა დგას თითო-ოროლა, ნაკლებმნიშვნელოვანი მიღწევა და უსახური ანდა ნაკლებშესამჩნევი გამოსვლები მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებებზე.

ახლა ახალი ოლიმპიური ციკლი იწყება და, თუკი სპეციალისტები აპირებენ რაიმე გზით შეცვალონ საქართველოში ფარიკაობის განვითარების ძველებური დინება, ამის გეგმა უკვე უნდა ისახებოდეს. მით უმეტეს არსებობს რეალური „მასალა" განსჯისა და ანალიზისთვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სულ ახლახან დამთავრებული, რესპუბლიკის IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გამართული მოფარიკავეთა ტურნირი.

ამ სურათზე ხედავთ შეჯიბრების ეპიზოდს, ხოლო მასალას ასპარეზობის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„ზარია ვოსტოკას" პრიზზე

დღეს თბილისში, „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში იწყება ხელბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. სარბიელზე გამოვლენ სსრ კავშირის პირველი და მეორე (ახალგაზრდული) ნაკრები, საქართველოს, პოლონეთის, ესპანეთისა და გფრ-ის გუნდები. შეგახსენებთ პირველი დღის შეხვედრათა კალენდარს: 16.30 — სსრკ-I — სსრკ-II, 18.00 — პოლონეთი — ესპანეთი. შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნება 19 საათსა და 30 წუთზე.

ს უ რ ა თ ზ ე: „ზარია ვოსტოკას" პრიზი.

ტელეტაიპი-კალეიდოსკოპი

ოსაკა. იაპონიის ამ ქალაქში ჩატარდა მძლეოსანთა გუნდური შეჯიბრება „ეკიდენი", რომლის ტრასა 35 კილომეტრს შეადგენდა. გამარჯვება მოიპოვა მილანის „დელ სტუდი უნივერსიტას" გუნდმა. მანძილი იტალიელებმა 2:01.22-ში გაირბინეს. მეორე ადგილი ტოკიოს ფიზაღზრდის კოლეჯს ხვდა. მეხუთე შედეგი აღმოაჩნდა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს.

ტოკიო. ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში („კავაგუჩიკო") მონაწილეობა მიიღო 12527-მა სპორტსმენმა. პირველი ადგილი წილად ხვდა ახალზელანდიელ პოლ ბალინჯერს — 2:21.04.

რალეი. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ამ ქალაქში გაიმართა აშშ-ს ჩემპიონატი კროსში. 10-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე უკეთ პატ პორტერმა გაირბინა — 31.07. ქალები 6-კილომეტრზე ასპარეზობდნენ. აქ გაიმარჯვა ლინ ჯენინგსმა — 19.32.

დარგობრივი ტერმინოლოგიის კომისიაში

ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავების განახლებული კომისია გუშინ შეიკრიბა ფიზკულტურის ინსტიტუტში. სხდომაზე განიხილეს ტერმინოლოგიის შექმნის სტრუქტურის პროექტი, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები ორგანიზაციული მუშაობის წარმართვის საკითხებზე, დაისახა პირველი ეტაპის გეგმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა.

სპეციალისტებს, ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ საკითხით, კომისია სთხოვს მიაწოდონ თავიანთი წინადადებები იმის თაობაზე თუ როგორ ესახებათ, მათი აზრით რა პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად ტერმინოლოგიის შემუშავებას, რა საკითხში შეუძლიათ შესთავაზონ დახმარება.

წინადადებები შეგიძლიათ გამოგზავნოთ „ლელოს" რედაქციაში — წარწერით — „ტერმინოლოგიის კომისიას".

ოლიმპიადის გაკვეთილები

ყველა მსოფლიო მოვლენა თავისთავად არის გაკვეთილი როგორც საერთოდ პლანეტის ხალხებისთვის, ისე კონკრეტული ერებისთვის. ასეთად გვესახება სეულის ოლიმპიური თამაშებიც, რომლის გაკვეთილებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაინც რა გაკვეთილი მოგვცა სეულის ოლიმპიადამ? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია და ამას არც ვისახავთ მიზნად. შეუძლებელია ერთმა დაინახოს ყველაფერი და უშეცდომო ანალიზი იტვიროს. ჩვენ მხოლოდ იმას შევეხებით და მოგახსენებთ, რასაც ქართული სპორტის წიაღში ვხედავთ, რაც ამ წიაღიდან არის წარმოჩენილი.

თავდაპირველად კი მაინც ის უნდა ითქვას, რომ გარდაქმნისა და საჯაროობის ატმოსფეროში რესპუბლიკის სპორტულმა მოძრაობამაც იპოვა თავისი გეზი, მკაფიოდ გამოიკვეთა გზა, რომელსაც იგი ფართო საზოგადოებრიობის თანადგომით დაადგა.

როცა სეულიდან შინ მოვემგზავრებოდით, ერთმა ჩვენმა კოლეგამ თქვა: ცხადია, საბჭოთა სპორტსმენების მიღწევები უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ პირადად მე მაინც უკმარობის გრძნობა მომყვება — მეტიც შეიძლებოდა. მერე იქვე ისიც დასძინა, ვაითუ ამ საერთო წარმატებამ უძლეველობის ილუზია შექმნას და სპორტისადმი ყურადღება შენელდესო. სიმართლე გითხრათ, ქართულ სპორტთან დაკავშირებით ამ აზრს არ შევუშფოთებივართ. არ შევუშფოთებივართ იმიტომ, რომ საქართველოში სპორტისადმი დამოკიდებულება და ყურადღება ყველა ინსტანციაში, ყველა დონეზე, საზოგადოებრიობის ყველა ფენაში პოზიტიურია. არ შეიძლება საზგასმით არ ითქვას, რომ ამგვარი ზრუნვა-ყურადღების მაგალითს, პირველ ყოვლისა, თვით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძლევა. ამ სიტყვების მკაფიო დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებას წარმართავენ სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც უშუალოდ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები უძღვებიან, რესპუბლიკის მთავრობაში კი შექმნილია მუდმივმოქმედი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე ხელმძღვანელობს. ამას იმ მიზნითაც ვამბობთ, რომ ხაზი გაესვას ქართული სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენს ერთიანობას და ერთსულოვნებას.

საქართველო სპორტული რესპუბლიკაა და ოლიმპიურ თამაშებში მაღალი ჯილდოების მოპოვება არ გვეუცხოება. ჩვენს სპორტსმენებს 1952 წლიდან მოყოლებული სეულის ოლიმპიადის ჩათვლით თამაშების 84 მედალი აქვთ მოპოვებული. ამ შედეგებით, ცხადია, ნებისმიერი სახელმწიფო იამაყებდა. მაგრამ სეულის ოლიმპიადა მაინც სულ სხვა იყო.

ოლიმპიადის საგზური არასდროს ყოფილა ისე ძნელი მოსაპოვებელი, როგორც სეულში გამგზავრების წინ. XXIV თამაშების სარბიელზე გამოსვლის უფლება უნდა მიეღოთ მხოლოდ იმ სპორტსმენებსა და გუნდებს, რომლებსაც წარმატების უდავო შანსი ჰქონდათ. თანამედროვე სპორტი განვითარება-სრულყოფის ახალ საფეხურზე ავიდა, საითკენაც მხოლოდ ხანგრძლივი ოფლის ღვრით შეიძლება გზის გაკვლევა, დღევანდელ პირობებში კი მჯობნის მჯობნი მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. თუ ამ გარემოებას გავუწევთ ანგარიშს, უნდა პირდაპირ ვთქვათ: ის, რომ საქართველო ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში 16 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, თავისთავად წარმატებად უნდა ჩაითვალოს. 16 მონაწილე! — ახლა ეს ადვილი სათქმელია. სათქმელად ასევე ადვილია ისიც, რომ ნაკრებში მართლაც ყველა ღირსეული მოხვდა და გული არ გვწყდება, რომ ვინმეს ოლიმპიადის საგზური არ ხვდა. მაგრამ იმაზე კი აუცილებლად გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, ჩვენებიდან ღირსეულებმა როგორ გაიკაფეს გზა ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში. აქ ისევ და ისევ საერთო დაინტერესება, საერთო ყურადღება და საერთო ერთსულოვნება დგება წინა პლანზე.

1988 წლის დასაწყისში ჩვენ ხელთ გვქონდა საქართველოს სპორტსახკომში შედგენილი სია იმ სპორტსმენებისა, ვისაც მაშინ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატებად მიიჩნევდნენ. მაშინ ძნელი იყო კონკრეტულად რაიმე გვეთქვა, მაგრამ გავიდა დრო და 25 კანდიდატიდან 16 ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ჩაირიცხა. ცხადია, თავისთავად არაფერი მომხდარა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატებს ჩვენს რესპუბლიკაში ყოველგვარი პირობები შეუქმნეს შესაძლებლობების სრულად

Ob. 83-2 ჰ3.

ოლიმპიადის გაკვეთილები

(დასასრული)

გამოსავლენად. ნებისმიერი საკითხი, წვრთნას ეხებოდა ის თუ სპორტსმენის ცხოვრებისეულ პრობლემებს, წყდებოდა თანდათანობით და ოპერატიულად. გვახსენდება ვლადიმერ გოგოლაძესთან დაკავშირებული ამბები. ავადმყოფობისა და ტრავმების შემდეგ ამ სპორტსმენმა დაკარგა საკუთარი თავის რწმენა და ის გონივრული ნაბიჯები რომ არა, რაც ჩვენი სპორტსახკომისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ერთობლივი მცდელობით დაუყოვნებლივ გადაიდგა, გოგოლაძე ოლიმპიადაზე ვერ წავიდოდა. ვლადიმერ აფციაურის საკითხიც დიდხანს გაურკვეველი რჩებოდა. ქვეყნის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს რომ ნდობა არ გამოეცხადებინა, ბეწვზე ეკიდა აფციაურის ბედიც. მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელებს სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანაში ხელს უწყობდა რესპუბლიკის სპორტის მუშაკთა მყარი პოზიციაც. არ შეიძლება თავად არ იყო დაინტერესებული შენი სპორტსმენით და გჯეროდეს, რომ სხვაა ვალდებული, გამოიჩინოს მისდამი ყურადღება. ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ არა იქ, სადაც ნაკრები გუნდის შესასვლელთან სპორტის ვარსკვლავები რიგში დგანან.

ბოლო წლებში, როგორც არასდროს, წინ წამოიწია მწვრთნელის პიროვნებამ. დიდი სპორტისთვის ზრუნვა კომპლექსური ცნებაა, სადაც უმთავრესი ფიგურა მაინც მწვრთნელია. ვამბობთ ამას და სულ ახალი მაგალითი გვახსენდება, რომელიც გასათვალისწინებელ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. იყო დრო, საქართველოდან წავიდა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუშაობდა თბილისელი მწვრთნელი ველოსპორტში კარლო შენგელია. დიდხანს მხოლოდ შორიდან ვადევნებდით თვალს მის წარმატებებს. მერე დაისვა საკითხი და შენგელია რესპუბლიკაში მოიწვიეს. ახლა საკავშირო სარბიელზე ჩვენს ველოსიპედისტებს ანგარიშს უწევენ, ადრე თუ ბოლო ადგილზე ვიყავით, შენგელიას ხელმძღვანელობით თვალსაჩინოდ წავიწიეთ წინ, თუმცა, უნდა ითქვას, ამ კაცის დაბრუნებას თვით ველოსპორტის სამყაროში ყველა ერთნაირი ინტერესით როდი შეხვდა. საქმემან შენმა გამოგაჩინოსო, — ნათქვამია. შენგელიამ თქვა თავისი სიტყვა, რაშიც მას დიდად დაეხმარა საქართველოს სპორტსახკომის სწორი პოზიცია. მისგან მეტს მოველით მომავალში. თავის დროზე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წავიდა სამუშაოდ წყალში მხტომელთა მწვრთნელი იური გუტიაკულოვი. დაბრუნდა, ხელი შეუწყვეს და ჩვენში ისეთ არამასობრივ სახეობაში, როგორიცაა წყალში ხტომა, დღეს თვალსაჩინო წარმატებებს ვაღწევთ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. თუნდაც სინქრონული ცურვა ავიღოთ. შეიძლება ითქვას, ყამირზე დავიწყეთ სპორტის ამ სახეობის დანერგვა და მოწვეულმა მწვრთნელმა ნატალია მაშუკმა ასე მოკლე დროში ჩააყენა ჩვენი სპორტსმენები ლიდერთა შორის. ანალოგიური მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. ალბათ აქვე უნდა ითქვას, სპორტის ცალკეულ სახეობებში უფროს მწვრთნელებად მხოლოდ უნარიანი, განსწავლული, პრინციპული და სიახლის მაძიებელი კადრების მოსაზიდად გადადგმულ თამამ ნაბიჯებზე. საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პროცესი ჭეშმარიტად ერთგული დამხმარეა ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმეში.

ჩვენი სპორტის შემდგომი წინსვლისათვის აუცილებლად უნდა გააქტიურდეს სპორტის ცალკეული სახეობების რესპუბლიკური ფედერაციების მუშაობა. მათ დიდი შესაძლებლობები აქვთ, თუმცა ჩვენი სპორტის მუშაკები ყოველთვის როდი უდგანან მხარში ფედერაციებს, მათთან მჭიდრო და საქმიან კავშირში არ წყდება პრობლემად ქცეული საკითხები. ხელბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას, მის ხელმძღვანელობას საქმისადმი გულგრილობას ვერავინ დასწამებს, შეიძლება ითქვას, მათი დახმარება მეტია, ვიდრე ეს შეიძლება ვიფიქროთ და ვივარაუდოთ, მაგრამ ისევ და ისევ სპორტის მუშაკების მხრიდან ხელმიშვებულობასთან გვაქვს საქმე. ამის უთქმელობა არ შეიძლება, დუმილმა ხომ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ძიუდოს, თავისუფალ ჭიდაობის, ფარიკაობის, სამბოს, ველოსპორტის ფედერაციების მისაბაძი მუშაობა. მათს დიდ წვლილს ხედავს და აფასებს ჩვენი საზოგადოებრიობა. ფედერაციები აქტიურად უნდა ჩავრთოთ რესპუბლიკაში სპორტის სახეობების დისლოკაციის თაობაზე სპორტსახკომის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელებაში. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენს ცალკეულ ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში, სოფლებში სპორტული ნაგებობები ძეგლებად არ იდგნენ.

შეიძლებოდა თუ არა სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში საქართველო მეტი სპორტსმენით ყოფილიყო წარმოდგენილი? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადისათვის მიზანმიმართულ და ინტენსიურ მზადებას დავიწყებდით არა ბოლო წლებში, არამედ გაცილებით ადრე, თუნდაც რვა წლის წინათ, მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ, და უფრო ადრეც, რადგან მომავალი ოლიმპიელები, როგორც ხატოვნად გამოთქვამენ, მერხებზე სხედან და საბავშვო ბაგა-ბაღების სარკმლიდან იმზირებიან.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ვცდილობდეთ ყველაფერი წარსულს გადავაბრალოთ. პირიქით, იმ წლებშიც თავი არავის დაუზოგავს ქართული სპორტის ინტერესებისათვის, თუმცა არც იმის უთქმელობა შეიძლება, რომ სწორედ წარსულ წლებში გაიდგა ფესვები არაკვალიფიციურობამ და არაპროფესიონალიზმმა. ეს ყველა დარგსა და სფეროზე ითქმის. მისი მავნე შედეგები, სამწუხაროდ, ქართულმა სპორტმაც იწვნია. თუ სხვა საქმეში ეს პროცესი და მისი მავნეობა შენიღბულ-მიჩუმათებული იყო, სპორტში ყველაფერი თვალნათლივ ჩანდა. ასე მიადგა ჩრდილი ტრადიციებს სპორტის ბევრ სახეობაში. მიწერებმა, სიყალბემ და სასურველის რეალობად გასაღებამ მასობრივ ფიზკულტურაშიც შეაფერხა წინსვლა. დღეს საკმაოდ აქტიურად გრძელდება გზების ძიება კრიზისისაგან თავის დასაღწევად.

საქართველოს წარმომადგენლები სეულში სპორტის 14 სახეობაში გამოდიოდნენ, ერთ ოლიმპიადაში ამდენ სპორტის სახეობაში არასოდეს გამოვსულვართ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც იმავე სახეობებში ყველაფერი რიგზე გვაქვს. ახლოვდება 11 ახალგაზრდული საკავშირო თამაშები და გვიჭირს სრულფასოვანი გუნდების დაკომპლექტება. არადა, სწორედ სპორტსმენთა ამ კონტინგენტმა უნდა წარმოადგინოს ძირითადად ჩვენი რესპუბლიკა სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე, მათი რიგებიდან უნდა გამოვლინდნენ მომავალი ოლიმპიელებიც. ჩამორჩენის მიზეზებს რომ ვაანალიზებთ, ცხადია, ანგარიშს ვუწევთ ყველაფერს, რაც ობიექტურია, მაგრამ ძირითადად მაინც ხელმიშვებულობასთან, მუშაობაში უსისტემობასთან, სუბიექტურ ფაქტორებთან გვაქვს საქმე. ამის კრიტიკულად შეუფასებლობა არ შეიძლება.

კალათბურთსა და ხელბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, ძალოსნობაში, ნიჩბოსნობაში, მშვილდოსნობაში ჩვენი ოლიმპიური ტრადიციები ბოლო წლებში არ გაღრმავებულა და განმტკიცებულა. ჩვენ თავს ვიწონებთ საქართველოში მთლიანად მოსახლეობის კონტინგენტზე პროცენტული გადაანგარიშებით სპორტული სკოლების რაოდენობით (აღარაფერს ვამბობთ ჯგუფებზე), დიდ სპორტში კი შევსება არ მოდის.

ავიღოთ ხელბურთი. სპორტის ამ სახეობაში ჩვენში გახსნილია რამდენიმე სპორტული სკოლა. თბილისში გვაქვს განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული სკოლა. სულ რესპუბლიკაში მუშაობს ხელბურთის 300 ჯგუფი და 130 მწვრთნელი, მოსწავლეთა კონტინგენტი კი 5000-ს შეადგენს. შედეგი? 1986 წელს საქართველოს ქალთა გუნდმა პირველი ლიგა დატოვა, ჩვენი უპირველესი ვაჟთა გუნდი კი 1988 წელს უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა. ერთი სიტყვით, მუშაობს სკოლები, გვყავს მწვრთნელები, მაგრამ არ იზრდებიან მაღალი კლასის სპორტსმენები. იგივე ითქმის ცურვაზე, სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაზე. ვიმეორებთ, ყველაფერი ობიექტურ მიზეზებს არ შეიძლება დავაბრალოთ. წარსულში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ვცხოვრობდით მხოლოდ დღევანდელი დღით, უპირველესი საზრუნავი იყო როგორმე თავის გამოჩენა მოახლოებულ კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებაში. ასეთი დამოკიდებულება სათავეს იღებდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებიდან და გადადიოდა შემდგომი ეტაპის შეჯიბრებებზე. მხოლოდ კონკრეტული ღონისძიება, კონკრეტული ასაკი — ასეთი იყო მთავარი პრინციპი. ამ იმპულსური პრინციპისადმი ერთგულება, ბუნებრივია, ვაკუუმს ქმნიდა, რადგან უგულებელყოფილი იყო ასაკობრივი თანმიმდევრობა. აქედან შედეგი — ძალზე დიდი იყო დანაკარგები.

დავუბრუნდეთ ისევ მომავალ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებს. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სპორტის ბევრ სახეობაში სრულფასოვანი გუნდების დაკომპლექტება ახლა არ ხერხდება. საქმე ისაა, რომ დღეს ბევრ სახეობაში 1968 წელს დაბადებულთა დიდ დეფიციტს განვიცდით. თავის დროზე ამ ასაკის სპორტსმენები უყურადღებოდ დაგვრჩნენ, რადგან მოახლოებულ შეჯიბრებებში მათი მონაწილეობა არ იყო ნავარაუდევი. ახლა კი წინ დაგვხვდა ადრე დაშვებული შეცდომა. გამოდის, რომ სპორტის ბევრ სახეობაში სხვა კოლექტივების 19-20 წლის სპორტსმენებს ჩვენი 15-16 წლის ჭაბუკები და გოგონები უნდა დავუპირისპიროთ.

სეულში საქართველოს წარგზავნილთა მიღწევები ყველას გვეამაყება, მაგრამ ამავე დროს წარმატება მეტს გვავალებს, ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას მოითხოვს ყოველი მუშაკისაგან. ასაკობრივი თანამიმდევრობის უზრუნველსაყოფად მწყობრი სისტემის შექმნა რესპუბლიკის სპორტსახკომმა, როგორც სახელმწიფოებრივმა ორგანომ და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ერთიანი პოლიტიკის კოორდინატორმა, პრობლემებში ღრმა წვდომით დაიწყო. არ შეიძლება არ დავაფასოთ იმ ადამიანების ღვაწლი, რომლებმაც ეგრეთ წოდებულ უძრაობის პერიოდშიც გონივრული ნაბიჯი გადადგეს და ბოლომდე მიიყვანეს დაწყებული საქმე. მხედველობაში გვყავს ბავშვთა კალათბურთის მზრუნველები. ეს იყო პირველი ცდა, ერთიან სისტემაზე დაგვეფუძნებინა სპორტის განვითარება. ახლა ასეთი სიახლე სპორტის სხვა სახეობებშიც ინერგება. 1988 წლის დასაწყისში შემუშავდა სპრინტერთა მომზადების გეგმა და დაარსდა სპეციალური ცენტრი. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი ევგენი გაგუა. მანამდე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან სპორტსახკომმა გახსნა ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელიც სხვადასხვა სახეობისთვის ნიჭიერი მოზარდების გამოვლენას ისახავს მიზნად.

სპორტული სკოლების აღსაზრდელთა პირველი საკავშირო თამაშებიდან (1987 წ.) შორსგამიზნული კურსით წარიმართა მუშაობა, თუმცა ამ გზაზე ჯერ კიდევ არაერთი დაბრკოლებაა დასაძლევი. იმ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში გამოდიოდა, ახლა კი მათ ელით ახალგაზრდული თამაშები, შემდეგ — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და ბარსელონის ოლიმპიური თამაშები (1992 წ.). ასაკობრივი თანამიმდევრობის დაცვის ასეთი სქემა გულისხმობს უკან მომდევნო ციკლის შევსებაც მოდიოდეს. ახლა ამ პროცესის უწყვეტობისაკენაა მიმართული მთელი ძალისხმევა. ბოლო ოლიმპიური თამაშების გაკვეთილი იმასაც გულისხმობს, რომ აქედანვე დავიწყოთ მზადება არა მომდევნო ოლიმპიადის, არამედ — ოლიმპიადებისთვის.

არ შეიძლება იმედს არ გვინერგავდეს ის ფაქტი, რომ ახლა ჩვენი სპორტსახკომი, უშუალოდ მისი ხელმძღვანელი მუშაკები განიხილავენ ცალკეულ სახეობებში შექმნილ ვითარებას, ამოწმებენ ყველა რეზერვს, ასახელებენ სპორტსმენებს, რომლებმაც წარმატებით უნდა გაიარონ ბარსელონის ოლიმპიადამდე დარჩენილი კომპლექსური საკავშირო ღონისძიებები და შემდეგ ოლიმპიადაზე დაიცვან როგორც ქვეყნის, ისე რესპუბლიკის სპორტული ღირსება. ესეც სეულის ოლიმპიადიდან გამოტანილი გაკვეთილია, გაკვეთილი კიდევ ერთი საშინაო დავალებით.

სეულის ოლიმპიადამ გაგვახარა, მაგრამ მოგვკითხა კიდეც, გზაც გვიჩვენა, საით უნდა წავიდეთ, თუმცა, როგორ წავიდეთ და რა ტემპით ვიაროთ, ეს უკვე ჩვენი უნარის საქმეა. ნებისმიერი გადახვევა ამ გზიდან, ნებისმიერი კომპრომისი ნიშნავს იმას, რომ შეგნებულად ვთქვათ უარი ჩვენი ეროვნული შესაძლებლობების, დიდი ენერგიისა და პოტენციის სრულად გამოვლენა-გამოყენებაზე.

ოლიმპიურმა თამაშებმა სხვა საშინაო დავალებაც მოგვცა: ასევე საყოველთაო ზრუნვა გვმართებს მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისადმი. დიდი სპორტის უკუგება მხოლოდ მედლებით არ განისაზღვრება. ოლიმპიური მონაპოვარი, ამ წარმატებებით შექმნილი ავტორიტეტი ჩვენ ხალხს მხოლოდ დიდ სპორტში მომავალი მიღწევების საფუძვლად როდი უნდა, ამ წარმატებებმა სტიმული უნდა მისცეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მოძრაობის წინსვლას რესპუბლიკაში. ეს არანაკლებ ეროვნული მნიშვნელობის საკითხია. ერის სიჯანსაღეც უნდა ავიყვანოთ ოლიმპიურ სიმაღლეზე. მაშინ მეტი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი გვეყოლება და განა მარტო სპორტში — [illegible] ცხოვრების სხვა სფეროში ძნელი სიმაღლეების დაპყრობაშიც დაგვეხმარება.

ყური მივუგდოთ ოლიმპიადის გაკვეთილებს, ვიაროთ მხოლოდ წინ. ჩვენი [illegible], ჩვენი ეროვნული ინტელექტისა და ენერგიის სრული მობილიზაცია-გაერთიანებით შევდგათ ფეხი ახალ სპორტულ მწვერვალებზე.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

თბილისის 75-ე პროფტექნიკურ სასწავლებელთან არსებულ ზურაბ საკანდელიძის სახელობის კალათბურთელთა კლუბს დაარსებიდან ხუთი წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა ახლახან კლუბში გამართული საზეიმო საღამო.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ კლუბმა, რომელიც გლდანის რაიონში მდებარეობს, დაარსების მიზანი გაამართლა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ აქ, თვით პროფტექნიკური სასწავლებლისა და ახლომდებარე სკოლების მოსწავლეთა გარდა, თბილისის სხვა რაიონის მოზარდებიც მეცადინეობენ.

კლუბს საკმაო წარმატებები აქვს მოპოვებული. პირველსავე წელს მისმა წევრებმა ტაგანროგის საკავშირო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს, სამი წლის შემდეგ კი სტავროპოლში საკალათბურთო კლუბებს შორის გამართულ პირველობაზე მეორე ადგილზე გავიდნენ. შემდეგ წელიწადს მინსკში ჩატარებულ ამავე კლუბების საკავშირო ტურნირში მათ მესამე ადგილი ხვდათ წილად, მაგრამ ეს შედეგი ნაკლებ საპატიო როდი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ამ პერიოდისთვის ჩვენს ქვეყანაში კლუბების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და, ცხადია, კონკურენციამაც იმატა. რაც შეეხება „საშინაო" წარმატებებს, 1985 წელს კლუბმა თბილისის რაიონების მოსწავლეთა პირველობაში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ფინალში წააგო „მართვესთან".

კლუბის საქმიანობა მხოლოდ სპორტული შედეგებით არ განისაზღვრება. მოვუსმინოთ ერთ-ერთი კალათბურთელის მშობელს თენგიზ ელბაქიძეს.

— ჩემი შვილი სპორტულ კლუბში დილმის მასივიდან დადის. ამიტომ ორი ტრანსპორტი უნდა გამოიცვალოს. მიუხედავად ამისა, ძალიან კმაყოფილები ვართ. ამაში „დამნაშავეა" მწვრთნელი გია გვილავა და ის მეგობრული დამოკიდებულება, რაც კლუბშია შექმნილი. მწვრთნელი შედეგებზე ნაკლებ მნიშვნელობას არ ანიჭებს შეგირდის სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. იგი ხშირად აკითხავს მათ სკოლაში. ვარჯიშზე არ უშვებს, სანამ ისინი ნიშნებს არ გამოასწორებენ. მწვრთნელი მოსწავლეებთან ერთად დადის კინოში, ცირკში, თეატრში, გუნდი ერთად დაესწრო ოპერისა და ბალეტის თეატრში „დაისსა" და „აბესალომ და ეთერს". ბიჭები შემდეგ ერთად მსჯელობენ ნანახ-განცდილზე. მწვრთნელის თხოვნით თავიანთ შთაბეჭდილებებსაც წერენ. ერთი სიტყვით, გია გვილავა ყოველნაირად ცდილობს ბავშვებს თვალსაწიერი გაუფართოოს. ჯერ წესიერი, განათლებული ადამიანები უნდა დადგეთ და სპორტულ შედეგებს მერე აქვს ფასიო, ხშირადეუბნება იგი აღსაზრდელებს.

იგივე აზრი [illegible] მშობლებისგანაც მოვისმინეთ.

კლუბში ხუთი წლის მანძილზე 120-მდე მოზარდმა ისწავლა კალათბურთის თამაში. ერთი მათგანი — ჯანო ბაგრატიონი — თბილისის ნორჩი დინამოელის შემადგენლობაში გამოდის.

კლუბის პრეზიდენტი, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ზურაბ საკანდელიძე:

— დღეს, როცა ჩვენს კალათბურთს ასე უჭირს, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ სპორტის ეს სახეობა რაც შეიძლება მასობრივი გავხადოთ. ქართული კალათბურთის ნაკრებების მომზადებაზე, ცხადია, ჩვენმა კლუბმაც უნდა იფიქროს. სამწუხაროდ, ადრე არ გვქონდა საშუალება, კლუბს მატერიალურად ამოვდგომოდით მხარში (ზურაბ საკანდელიძე დღეს უალკოჰოლო სასმელების ქარხანა „ბახმაროს" დირექტორია). დღესდღეობით ამის საშუალება არის და უახლოეს ხანში კლუბს ფორმას და ბურთებს შევუძენთ. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად, კვლავაც გადავცემ ჩემს გამოცდილებას კლუბის ყველა წევრს.

დღეს ყველა მწვრთნელმა მიზნად უნდა დაისახოს, რაიმეში გამოადგეს ქართულ კალათბურთს, სხვანაირად ამ საქმეს ვერ მოვუვლით.

ჯემალ კასრაძე.

სიჩუმე სასროლეთზე

როგორ ვიყენებთ ბაზებს?

რუსთავის მონადირეთა კავშირის „მცდელობით" მისივე კუთვნილი სასროლი სტენდი აგერ უკვე ორი წელია აღარ მოქმედებს.

სტენდის აშენების ინიციატორი რუსთავის მონკავშირის ყოფილი თავმჯდომარე გურამ კალანდაძე იყო. სამი წლის მუშაობის შემდეგ, 1986 წელს, რუსთავში გაიხსნა სასროლეთი. თბილისიდან ჩამოვიდნენ სახელგანთქმული სნაიპერები, მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები ტარიელ ალიევი, თამაზ [illegible]ნაიშვილი, [illegible] მაჩხანელი, თეიმურაზ [illegible], გიორგი შენგელია. ამ ზეიმს ვერ მოესწრო გურამ კალანდაძე; იგი გარდაიცვალა. მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ მის წამოწყებულ საქმეს დაღუპვა აღარ ეწერა, იმედსაც გამოთქვამდნენ, რომ ახლო მომავალში მეტალურგთა ქალაქსაც ეყოლება თავისი ჩემპიონები...

სპორტის ოსტატი ნიკოლოზ გოცირიძე შეუდგა მოზარდთა წვრთნას, მაგრამ მალე ჯგუფები დაიშალა: მონკავშირის ახალი ხელმძღვანელობისათვის ძალზე ძვირი აღმოჩნდა გუნდის შენახვა. სტენდი არარენტაბელურად გამოაცხადეს, დაითხოვეს მწვრთნელი, დარაჯი, ორი მუშა. დატოვეს დირექტორი, მას სტენდის ტერიტორიაზე... ბალახის თიბვა (!) დაევალა. დირექტორი თამაზ უკლება, რომელმაც გიორგი კალანდაძესთან ერთად სტენდის მშენებლობას დიდი ფიზიკური თუ სულიერი ძალები მოახმარა, ვერ შეურიგდა სტენდის უმოქმედობას და იჩივლა სხვადასხვა ინსტანციაში. როცა ჩივილით ვერა გააწყო, წინადადება შეიტანა სტენდის ბაზაზე სპორტული კოოპერატივის გახსნის თაობაზე, მაგრამ ეს ცდაც ამაო გამოდგა.

რუსთავის მონკავშირის სათავეში დღეს ნესტორ ლექვა უდგას. ახალ თავმჯდომარეს თავისი მ[illegible]

ინ. მეჭ ვვ

„ლელოს" რეიდი

საბჭოების გადაუდებელი ამოცანა

სიკეთე, რომელიც უკუგებას არ იძლევა

მთელს ჩვენს რესპუბლიკაში, იმერ-ამერში, რამდენიც გნებავთ, ამდენი სპორტული ნაგებობა დგას უმოქმედოდ, ჩვენი გულგრილობისა და დაუდევრობის მამხილებელ ძეგლად. რატომ არ ვიყენებთ მათ, რა ღონისძიებებს ატარებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მოსახლეობის ჯანმრთელობის, სპორტის სამსახურში მათ ჩასაყენებლად? 30 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა რესპუბლიკის სპორტული ნაგებობების რუკამ თვალნათლივ დაგვარწმუნა, თურმე რა სიმდიდრეს არ ვიყენებთ.

ასეთი ნაგებობები საგარეჯოს რაიონშიც არის. კახეთი ჭიდაობის მხარეცაა. თავის დროზე აქ აიგო შესანიშნავი საჭიდაო დარბაზი სასტუმროთი, გაიხსნა ჭიდაობის ჯგუფები, მაგრამ ამ ბაზის მოვლა-პატრონობაზე არავინ ზრუნავს. ნაგებობა ეკუთვნის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტნაგებობათა სამმართველოს. დარბაზი არ თბება, არ მოდის ცხელი წყალი, ცივ წყალს კი ბაზას დილას და საღამოს მხოლოდ თითო საათით აწვდიან. შენობაში ანტისანიტარიაა. ამ რამდენიმე წლის წინათ გვითხრეს: დარბაზის გათბობისა და ცხელი წყლით უზრუნველყოფის საკითხს მალე გადავჭრით, სულ რაღაც 60 მეტრ სიგრძეზე გაზის მილი გვაქვს გასაყვანიო. დღემდე არ გაუყვანიათ, თუმცა, ხარჯთაღრიცხვა კი შედგენილია. იქვეა სპორტკომიტეტის ღია საცურაო აუზი (25X12 მ.). დიდი ხანია, ამ აუზს იმედის თვალით შეჰყურებენ მოზარდები, მაგრამ... ნუ გაიოცებთ, თურმე წყლის პრობლემა ყოფილა მთავარი მიზეზი. არა გვგონია, როცა აუზს აგებდნენ, წყლის მომარაგებაზეც არ ეზრუნათ. თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი მიზეზი აქ ყველას ხელს აძლევს და მშვიდად ყოფნას ამჯობინებენ. რაიონის სპორტკომიტეტის სტადიონიც მოუვლელია, განსაკუთრებით მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. ვერსად შენიშნავთ სპორტის პროპაგანდის წარწერებს. რაიონის ცენტრში არ მუშაობს არც ერთი გამაჯანსაღებელი ჯგუფი — უგულებელყოფილია მოსახლეობის ფასიანი მომსახურება.

საგარეჯოში არის კიდევ ერთი თვალსაჩინო სპორტული ბაზა — დახურული საცურაო აუზი, რომელიც არ მუშაობს. გვითხრეს, ეს ბაზა კოოპერატორებს გადასცესო. დაველოდოთ.

„ლელოს" რედაქცია ეკითხება საგარეჯოს რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობას: რატომ არ სრულდება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესახებ რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების 25-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტების მოთხოვნები. რას ველოდებით, რატომ არ ჩავებით სპორტული ბაზების კეთილმოწყობის, მათი ეფექტიანობის ამაღლებისა და სრული დატვირთვით გამოყენებისთვის რესპუბლიკურ დათვალიერებაში, რატომ არ ვზრუნავთ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისათვის მინიჭებული უფლებების განხორციელებისათვის?

პასუხს ველით!

საფეხბურთო კავშირის შექმნის წინ

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულნი და სპეციალისტები დიდი ინტერესით მოელიან სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის დამფუძნებელ კონფერენციას, რომელიც 13-14 დეკემბერს გაიმართება მოსკოვში.

ცხადია, ეს არაა ტრივიალური, წლების განმავლობაში ტრაფარეტად ქცეული საფეხბურთო ყრილობა, რომელიც მხოლოდ ყოველდღიურ, მიმდინარე საქმეებზე იმსჯელებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ 13-14 დეკემბრიდან ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება და საქმიანობა პროფესიულ ლიანდაგებზე გადავა, ბოლოს და ბოლოს უნდა გადაიჭრას კარდინალური საკითხები, რომელთა გარეშე ჩვენი ფეხბურთი, ჩვენი ოსტატთა გუნდების საშემსრულებლო დონე, საბჭოთა მასობრივი ფეხბურთის მასშტაბები წარიმართება იმ გზით, რომელსაც ასე მოელის ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება. ბევრი ჩვენი კლუბი უკვე გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე, გადაწყდება არა მარტო ის საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ოსტატ ფეხბურთელთა ანაზღაურება, არამედ ისიც, თუ რა მატერიალური დაინტერესება ექნებათ მათ, ვინც ბავშვებთან მუშაობს და ზრდის მომავალ ოსტატებს.

ახალ საფეხბურთო კავშირზე, მის პერსპექტივებზე და მომავალ მოღვაწეობაზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ეს უნდა იყოს მებრძოლი საფეხბურთო შტაბი, რომელიც ახალი, პროგრესული გზით წარმართავს ფეხბურთის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

საფეხბურთო კავშირი შეიქმნება საქართველოშიც, მასაც საგანგებო ფუნქციები დაეკისრება და ახალმა ხელმძღვანელობამ ამთავითვე უნდა იზრუნოს იმ ურთულესი საკითხების წარმატებით გადაჭრაზე, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე წარმოიშვა რესპუბლიკაში. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ საქართველო, როგორც არავინ, მდიდარია ნორჩი საფეხბურთო ტალანტებით, ჩვენ კი მიუტევებელი უზრუნველობითა და, თუ გნებავთ, სიზარმაცით თვალსა და ხელს შუა ვკარგავთ ამ უნიჭიერეს ბავშვებს. ახლა, როცა საქართველოს ამდენი გუნდი ჰყავს ოსტატთა კატეგორიით, ყველამ განსაკუთრებული დაინტერესებით, გულმოდგინედ უნდა იღვაწოს, რომ არც ერთი პერსპექტიული ბავშვი, არც ერთი ნიჭიერი ნორჩი ფეხბურთელი არ გამოგვრჩეს თვალთახედვიდან. ჩვენში საკმარისად ვრცელია ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლების ქსელი, ბავშვებთან მომუშავე ჩვენმა მწვრთნელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ტალანტების აღმოსაჩენად და დასაწინაურებლად, მათი შრომა და მეცადინეობა უქმად არ ჩაივლის.

ახალი საფეხბურთო კავშირის დამფუძნებელი კონფერენციის წინ საკავშირო პრესის ფურცლებზე პოლემიკა გაჩაღდა, რომელშიც თავიანთ სურვილებს, მოსაზრებებს გამოთქვამენ ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, ამ დარგის პროფესიული მუშაკები. ეს პოლემიკა საზოგადოებრივ აზრს ამზადებს სწორედ 13-14 დეკემბრის დამფუძნებელი კონფერენციისთვის.

საყურადღებო აზრი გამოთქვა გაზეთ „ტრუდში" სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ:

„თუ ახალი საფეხბურთო კავშირი ძველი ფედერაციის ტრადიციების ბრმა მიმდევარი და არაპროფესიონალ ფუნქციონერთა განკარგულებების უსიტყვო შემსრულებელი იქნება, არც ღირს მისი შექმნისთვის გარჯა. საჭიროა მკვეთრად შეიცვალოს საფეხბურთო მეურნეობის პრინციპები, უნდა შეიქმნას ფეხბურთის პროფესიული მოღვაწეობის იურიდიული საფუძველი, მომავალ დამფუძნებელ კონფერენციაზე მსურს წამოვჭრა საკითხი ოსტატთა ასოციაციის ლიგის შექმნისა, რომელიც თავის თავზე აიღებს სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და თასის გათამაშებათა ჩატარების სადავეებს, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საბჭოთა გუნდების გამოსვლებს ევროპის საკლუბო ტურნირებში.

შემუშავებულია საფეხბურთო კავშირის დებულების პროექტი, მაგრამ მისი შექმნის პროცესში არაფერი უკითხავთ არც ჩემთვის, არც ოსტატთა გუნდების სხვა მწვრთნელებისთვის. რაღა პროექტია ის, რომელიც შეიმუშავა არა ფეხბურთის სპეციალისტმა, არამედ პიროვნებამ, რომელიც დღეს ფეხბურთში მუშაობს, ხვალ კი შეიძლება სულ სხვა საქმეს მოკიდოს ხელი".

გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს ლენინგრადის „ზენიტის" მთავარმა მწვრთნელმა ს. ზავიდონოვმა, სპორტის ოსტატმა ვ. ფედოტოვმა, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთის კლუბის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ტევსმა და სხვებმა.

მათი აზრით, საფეხბურთო კავშირის დებულების პროექტში ნაკლებადაა სიახლეები, აშკარად ჩანს, რომ კავშირი იქნება არა დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია, არამედ ერთგვარი „საზოგადოებრივ-პროფესიული" ორგანო. მასში ნაკლებად ასახულია დღევანდელი გარდაქმნების პრინციპები, კვლავ ნათლად სჭვივის ძველი ტრადიციული ბიუროკრატიზმი, პროექტის მიხედვით სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირი ექვემდებარება რამდენიმე სხვადასხვა ინსტანციას და უფლება არა აქვს დამოუკიდებლად გადაჭრას აქტუალური საკითხები.

იქმნება ორი პარალელური ორგანო: საფეხბურთო კავშირი და სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო. ეს ფუნქციათა აშკარა დუბლირებაა. ფეხბურთს უნდა მართავდეს ერთი პროფესიული ხელმძღვანელი.

ჩვენი ფეხბურთი გარდაქმნის წინაშე დგას, იგი არ შეიძლება უშუალოდ ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის გარეშე დარჩეს, ამიტომაც, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუ სწორედ 13-14 დეკემბრის დამფუძნებელი კონფერენციის წინ „ლელოში" თავიანთ კომპეტენტურ მოსაზრებებს გამოთქვამენ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოღვაწენი, მწვრთნელები, სპეციალისტები, მსაჯები, ვეტერანები, ყველა ის, ვისი ცხოვრებაც მჭიდროდაა დაკავშირებული დიდ ეროვნულ, საყვარელ საქმესთან — ფეხბურთთან.

ველით თქვენს წერილებს, საყურადღებო, საქმიან შენიშვნებს.

საქართველოს პირველობა

დღეს, 30 ნოემბერს გაიმართება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 41-ე ტურის ორი შეხვედრა. ორივე მატჩს თბილისელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება: **„დურუჯი" (ყვარელი) — „ეგრისი" (ცხაკაია).** ა. კოკაია, ე. სილაგავა, ი. ჭანდელაკი. **„ბახტრიონი" (ახმეტა) — „ივერია" (ხაშური).** ა. შილაკაძე, თ. სოფრომაძე, დ. მენთეშაშვილი (თბილისი).

ვეტერანები მახარაძესა და გალში

თბილისის „დინამოს" ვეტერანმა ფეხბურთელებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართეს მახარაძესა და გალში.

მახარაძეში თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:2 (ბურთები გაიტანეს ლ. ნოდიამ, თ. სულაქველიძემ და გ. ნოდიამ).

გალის რაიონის ცენტრალურ სტადიონზე თამაშს უამინდობა დაემთხვა, მაგრამ ვეტერანებმა აქაც ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდევ — 3:0. ბურთები გაიტანეს თ. სულაქველიძემ (2) და ლ. ნოდიამ. ეს საინტერესო თამაშები რამდენიმე ათასმა ფეხბურთის მოყვარულმა ნახა.

ვეტერანებმა ეს მატჩები ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: რ. ურუშაძე, დ. გოგია, თ. კოსტავა, ვ. ქორიძე, ზ. ებრალიძე, მ. ასიტაშვილი, ს. მეტრეველი, ბ. მჭედლიშვილი, გ. ნოდია, ლ. ნოდია, ვ. კოპალეიშვილი, გ. ჭილაია, ბ. სიჭინავა, დ. ხუნდაძე, ა. ილიადი, რ. შენგელია, თ. სულაქველიძე.

ილო მჭედლიშვილი.

უეფა-ს სანქციები

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა განიხილა ევროპის საკლუბო ტურნირებში მომხდარი დარღვევების საკითხები.

იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" 14.500 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ამ კლუბის სტადიონზე გულშემატკივრებმა მუშხუნებს ისროდნენ და ამიტომაც შეფერხდა იტალიის „მილანთან" თამაშის დასაწყისი.

დისკვალიფიცირებულია წესრიგის დამრღვევ მოთამაშეთა ერთი ჯგუფი: რუბეიროს (პორტუგალიის „სპორტინგი") ევროპის საკლუბო ტურნირების 5 მატჩში ეკრძალა მონაწილეობა, 4 მატჩით დისკვალიფიცირებულია „მონაკოს" ფეხბურთელი დიბი. მინსკის „დინამოს" მოთამაშეს შალიმოს, აგრეთვე, მაკკოისტს („გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), კემს („ანდერლეხტი", ბელგია), ვირდისს (იტალიის „მილანი") 3-3 თამაშით ეკრძალათ ამ ტურნირებში მონაწილეობა.

უცხოეთის ფეხბურთის მინდვრებზე

ამანი. წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, ამჟამად ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მიშელ პლატინი იორდანიის მეფემ ჰუსეინმა სპეციალური მედლით დააჯილდოვა იმ მოღვაწეობისთვის, რაც ფეხბურთელმა გასწია ნარკომანიასთან ბრძოლის საქმეში. მ. პლატინი ამჟამად იორდანიაში იმყოფება ამ სახელმწიფოს მეთაურის მიწვევით. ფრანგ ფეხბურთელს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ორ მატჩში, რომელთა შემოსავალი მთლიანად საქველმოქმედო ფონდს გადაეცემა.

ბუენოს-აირესი. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა მცირე ხნით ჩამოვიდა სამშობლოში იტალიიდან, არგენტინის დედაქალაქის აეროპორტში მას ესაუბრნენ ჟურნალისტები. დ. მარადონას განზრახული აქვს თავის ქვეყანაში, მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში" დაამთავროს საფეხბურთო კარიერა.

— ჩემი კონტრაქტი იტალიის „ნაპოლისთან" 1993 წლამდე გაგრძელდება. — თქვა დ. მარადონამ. — როგორც კი იგი დასრულდება, პირველივე რეისით დავბრუნდები არგენტინაში და „ბოკას" მაისურს ჩავიცვამ.

მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინის ნაკრების შანსებზე საუბრისას დ. მარადონამ განაცხადა, რომ მისი გუნდი უდავოდ ფავორიტთა შორის იქნება.

— ახლა ადრეა ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს. გაიხსენეთ, თუნდაც, ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის წინ, ბევრნი მას გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, ჩემპიონატი კი ინგლისელთა კატასტროფით დამთავრდა. მაგრამ ის, რომ არგენტინელები ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ 1990 წლის ჩემპიონატში, უდავო ამბავია.

რიო-დე-ჟანეირო. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფეხბურთის პოპულარობა ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება და, ალბათ, გარკვეული დროის შემდეგ ამ ქვეყნის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მსოფლიოში. გარდა ამისა, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ამ ქვეყანაში ჩატარდება, ეს კი კიდევ უფრო გაზრდის ფეხბურთის პროგრესს შეერთებულ შტატებში.

ჟ. აველანჟის აზრით, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში უნდა აზიაში გაიმართოს, ამის თაობაზე უკვე ახლა მასთან მოლაპარაკება აქვთ ჩინეთისა და იაპონიის წარმომადგენლებს.

ბრიუსელი. „ეიზელის" სტადიონზე, სადაც 1985 წელს უმაგალითო სისხლისღვრა მოხდა იტალიელ და ინგლისელ გულშემატკივართა შორის და დიდი მსხვერპლით დამთავრდა, მთლიანი რეკონსტრუქცია მოხდება, საამისო სამუშაოები მომავალი წლის დასასრულისთვისაა დაგეგმილი.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ლეონ ვლოგემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თვით სახელწოდება „ეიზელი" გაქრება და სტადიონს ახალ სახელს დაარქმევენ. ბელგიის მეფის პატივსაცემად ბრიუსელის ამ სტადიონს დაერქმევა „მეფე ბოდუენი".

ევროპის კონტინენტის ეროვნულ ჩემპიონატებში საინტერესო ბრძოლებია. იტალიის პირველობაში ძალას იკრებს „ნაპოლი", რომლის შემადგენლობაში გამოდიან არგენტინელი მარადონა და ბრაზილიელი კარეკა. „ნაპოლიმ" ჯერ ქვეყნის ჩემპიონატში „იუვენტუსს" სძლია 5:3, შემდეგ კი უეფა-ს თასზე სტუმრად დაამარცხა საფრანგეთის „ბორდო" 1:0 და ისევ ეროვნული პირველობის მატჩში დაჯაბნა მთავარი მეტოქე „მილანი" 4:1. მილანელებს, შარშანდელ ჩემპიონებს, სუსტად გამოსვლის გასამართლებელი საბუთი ისა აქვთ, რომ სამი წამყვანი მოთამაშე, ჰოლანდიელი გულიტი, ნახევარმცველი დონადონი და მცველი გალი ტრავმირებულნი არიან. სხვათა შორის, ჟურნალისტთა აზრით, გალი ერთადერთი იტალიელია, რომელიც ბოლო ორი წელია წარმატებით იბრძვის მარადონას პირისპირ. ამდენად „მილანის" დანაკარგი საგრძნობია. მართალია, ზავაროვის გუნდმა „იუვენტუსმაც" მოიგო მატჩი „ლეჩესთან", მაგრამ თვით ზავაროვი თავჩაღუნული გამოეთხოვა მინდორს — 88-ე წუთზე იგი ჩხუბისათვის გააგდეს. გათამაშებას წაუგებლად ლიდერობს „ინტერი", რომელსაც 13 ქულა აქვს 7 თამაშიდან.

გფრ-ის პირველობაში წინ გაიჭრა „ბავარია", რომელიც წინა ოთხშაბათს დამარცხდა „ინტერთან" უეფა-ს თასზე — 0:2. მან ქვეყნის პირველობაზე მინიმალური ანგარიშით (1:0) დაჯაბნა „ნიურნბერგი" და ახლა 5 ქულით უსწრებს მდევარ „ბერდერს". კვლავ არ ანებივრებს გულშემატკივრებს „აინტრახტი". იგი დორტმუნდის „ბორუსიასთან" მწარე წაგების (0:6) შემდეგ 9 ქულით ბოლო ადგილზეა.

მადრიდის „რეალი", ბილბაოს „ატლეტიკოსთან" ფრედ (3:3) თამაშის შემდეგ, ქულით უსწრებს „ბარსელონას", რომელმაც „მურციას" სძლია 3:1. მესამე ადგილზეა „სევილია", სადაც კარს დასაევი იცავს.

ხიდიატულინის „ტულუზა" კი საფრანგეთის ჩემპიონატში ცხრილის შუაში იმყოფება. წინ კი 43 ქულით „პარი სენ-ჟერმენია". მას ქულით ჩამორჩება „ოკსერი", მესამე ადგილზე კი „მარსელია" — 35 ქულა.

სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში

გაცრუებული იმედები

თბილისი. საქართველოს სპორტსაკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ალმა-ათა) 10:13 (2:3, 2:3, 1:4, 5:3).

„დინამო" (თბილისი): კერესელიძე, ლაპარტელიანი, ბალათურია, გვახარია, კუტივაძე, კანდელაკი, გობეჯიშვილი; გიორგაძე, ბითაძე, ნიკოლაიშვილი, ჩოლარია, მაჭავარიანი.

„დინამო": (ალმა-ათა): მაშინი, სევასტიანოვი, ლომკინი, აიაპბერგენოვი, ბაიუნოვი, ორაზალინოვი, ვოლკოვი; სალნიჩნიკი, ნალივკინი, დრონდოვი, შულმანი, პივოვაროვი.

თბილისელ წყალბურთელებზე გავრცელებულია აზრი, რომ მათ ნებისმიერ ძლიერ მეტოქესთან ძალების მობილიზება და თანაბარი თამაში შეუძლიათ. თბილისელებს ასეთი მეტოქეების დამარცხებაც ძალუძთ. რა თქმა უნდა, ასეთი რეპუტაცია თავად ჩვენმა წყალბურთელებმა შეიქმნეს. მაგრამ, აი საჩემპიონატო მარათონში ისინი სტაბილურად ველარ გამოდიან. ამიტომ ჩვენი „დინამო", ერთი შეხედვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, სათასო გუნდად გამოიყურება. მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სამწუხაროდ, ქართველი წყალბურთელები, საბოლოო ჯამში, აქაც უფერულად გამოდიან.

ამისი დასტური გახლდათ თუნდაც თბილისში გამართული საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები, სადაც მასპინძლებმა ვერაფერი გააწყეს ვერც ცსკ-სთან და ვერც ალმაათელ თანაკლუბელებთან. მართალია, თბილისელები ამ ბრძოლებში საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ჩაებნენ, მაგრამ, მაინც, მათგან მეტს ველოდით.

პირველ გუნდთან შეხვედრაზე ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. რაც შეეხება ალმაათელებთან მატჩს, ეს შეხვედრაც ისეთივე უფერული გამოდგა.

თბილისელებმა მათთან შეხვედრის მეოთხე პერიოდი მოიგეს (5:3), მაგრამ ყველა დანარჩენი წააგეს და, ბუნებრივია, სარბიელიც დამარცხებულებმა დატოვეს.

საინტერესოა, რომ ეს მეოთხე პერიოდი მასპინძელთათვის თბილისში გამართული შეხვედრებიდან იყო საერთოდ ერთადერთი, რომელიც თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ბითაძემ (3), კუტივაძემ, ბალათურიამ (2-2), გობეჯიშვილმა, გიორგაძემ, მაჭავარიანმა; სტუმართაგან — ვოლკოვმა (5), აიაპბერგენოვმა (3), სევასტიანოვმა (2), ლომკინმა, ორაზალინოვმა, ბაიუნოვმა.

ამრიგად, მასპინძლებმა თბილისში გამართული ორივე შეხვედრა წააგეს. ისინი მანამდე დამარცხდნენ ლვოველ თანაკლუბელებთან პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაშიც.

ალმაათელებს პირველი ნახევარფინალური შეხვედრა წაგებული ჰქონდათ, მაგრამ თბილისში 4 ქულა აიღეს და ფინალშიც გავიდნენ. თბილისის ქვეჯგუფიდან მეორე ფინალური საგზური მოიპოვა სსფ ცსკ-მ, რომელიც, მართალია, ორშაბათს ლვოვის „დინამოსთან" დამარცხდა (6:7), მაგრამ მან თბილისის ტური 2 ქულით დაიწყო და საბოლოოდ მასაც ორი მოგება აღმოაჩნდა.

რაც შეეხება მოსკოვში გამოსულ გუნდებს, მათგან ფინალური ბრძოლების უფლება ადგილობრივი „დინამოსა" და „უნივერსიტეტის" წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

საინტერესოა, რომ ამ გუნდების ნახევარფინალური შეხვედრა ფრედ (8:8) დამთავრდა.

საკავშირო თასის მფლობელი მოსკოვში, დეკემბრის შუა რიცხვებში გაირკვევა, როცა ოთხი ფინალისტი ერთმანეთს წრიული სისტემით შეხვდება.

ავთანდილ გურასაშვილი.

განახლებული შემადგენლობით

[illegible] კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ბოლო ორ მატჩს საბჭოთა ნაკრები ფინეთისა და პოლონეთის გუნდებთან ატარებს. ამ შეხვედრათა შედეგებს ჩვენებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ფინალურ ტურნირში მონაწილეობა მათ განაღდებული აქვთ.

სწორედ ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ საბჭოთა ნაკრები ტურნეს ატარებს აშშ-ს ქალაქებში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში გუნდი განახლებული, ფაქტიურად ახალგაზრდული შემადგენლობით გამოვა.

ნაკრების მწვრთნელებმა ვ. ბოქინარმა და ვ. გარასტასმა დაასახელეს შემადგენლობა, რომელშიც მოხვდნენ: ჯ. მეიჟნიეკსი, ვ. პანკრაშკინი, ვ. ბერეჟნოი, ვ. გორინი (ყველა — ცსკა), გ. ეინიკისი („ჟალგირისი"), ე. მურზინი, ი. პინჩუკი, ე. დოლგოვი, ა. კოვტუნი (ყველა — „სტროიტელი"), ვ. სიზოვი („დინამო", მოსკოვი).

სიჩუმე სასროლეთზე

(დასასრული)

აქვს და სტენდი ზედმეტად მიაჩნია. როდესაც მას სპორტული კოოპერატივის გახსნის იდეა შევახსენეთ, სასტიკად იუარა.

— ამის გაგონებაც არ მინდა. კოოპერატივი კერძო საქმეა. მონკავშირს მისგან არავითარი მოგება არ ექნება.

⊙ ალბათ, სტენდის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ფიქრობთ?

— არა, სამაგისო სახსრები არა გვაქვს.

როცა გავარკვიეთ თავმჯდომარის პოზიცია, გადავწყვიტეთ საქალაქო საბჭოს აღმასკომის აზრიც გაგვეგო.

— სტენდი მონკავშირს ეკუთვნის და თვითონ გადაწყვიტოს თუ რა მოუხერხოს მას. — გადაჭრით ამბობს განყოფილების გამგე ზურაბ გოცაძე.

სადაც მივედით, სასროლეთის მიმართ ყველანი გულგრილნი აღმოჩნდნენ. 2 წელიწადი სტენდი უმოქმედოდ იყო და ეს არავის აწუხებდა. წყალში იყრებოდა 30 ათასამდე მანეთი, სიყვარულით ნაშენი საქმე, იმსხვრეოდა იმედები, ოცნება და გული არავის შესტკიოდა, პასუხისმგებლობის გრძნობაც კი არ აწუხებდათ...

— აქ, — გვეუბნება თბილისის მონკავშირის თავმჯდომარე გურამ პატარქალაშვილი, საწვრთნელ ვარჯიშებს ჩაატარებენ ჩვენი გუნდის წევრები. ამასთანავე თბილისელი და რუსთაველი მონადირეები აქვე სრულყოფენ სროლის ტექნიკას, გამოცდიან იარაღს, სტენდით ისარგებლებენ მონადირეთა პირველადი კოლექტივებიც. ვერც ერთი კაცი, ვინც ჩვენთან გადის საკანდიდატო სტაჟს, ვერ მიიღებს მონადირის ბილეთს, თუ არ ჩააბარა გამოცდა სროლაში. ახლა, როცა ასე იკლო ნადირ-ფრინველმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასტენდო სპორტს. საიდუმლო არ არის, რომ მონადირეთა კავშირში ბევრი არა ნადირობის, არამედ სროლის სიყვარულის გამო შედის. დარწმუნებული ვარ, როცა გულს იჯერებენ სტენდზე სროლით, ისინი ცოცხალ სამიზნეს აღარ დაუწყებენ ძებნას, საგრძნობლად შემცირდება ბუნებაზე „შეტევაც". კარგი იქნებოდა, თბილისის მონადირეთა კავშირსაც ჰქონოდა თავისი საკუთარი სტენდი.

ერთნი ნატრობენ, მეორენი კი — აქვთ და ველარ იყენებენ. დიახ, 2 წელია რუსთაველებმა ვერ მოახერხეს სპორტული სასროლეთი მათივე ქალაქის სამსახურში ჩაეყენებინათ და ახლა იძულებულნი გახდნენ იჯარით გაეცათ.

ზ. კორძაძე.
(საქინფორმის კორ.).

„ფორმულის" ყველა პილოტი...

დასრულდა „ფორმულა-1" კლასის ავტომრბოლთა მსოფლიოს 39-ე ჩემპიონატი. ამიერიდან ტურბოძრავების ერა საავტომობილო ისტორიის კუთვნილება გახდა და გაისიდან ყველა ავტომობილი ატმოსფერული ძრავით აღიჭურვება. 8 თვის განმავლობაში გრძელდება ერთი შეხედვით უინტერესო, მაგრამ ძალზე დაძაბული ბრძოლა პირველობისათვის.

ასპარეზობაში მონაწილეობდა 34 სპორტსმენი, მათ შორის 6 დებიუტანტი და 18 ფირმა.

23 წლის მრბოლებმა: დებიუტანტმა ბერნდ შნაიდერმა (გფრ, „ცაკსპიდი") და იანიკ დალმამ (საფრანგეთი, „ლოლა") ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

24 წლის პილოტებს შორის საუკეთესო იყვნენ იტალიელი ივან კაპელი და ბრაზილიელი დებიუტანტი მაურიციო გუგელმინი. ორივე „მარჩ-ჯადის" ღირსებას იცავენ. პირველმა პორტუგალიაში მეორე ადგილი დაიკავა, მეორემ კი ინგლისში — მეოთხე. კაპელი მეცხრე ადგილზე გავიდა ჩემპიონატში, გუგელმინი — მეცამეტეზე.

ნიკოლა ლარინიმ (იტალია, „ოსელა"), სტეფანო მოდენამ (იტალია, „ეურობრუნი") და ალექს კაფიმ (იტალია, „ბე-ემ-ეს დალარა") ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს.

26 წლის ჯულიან ბეილიმ (ინგლისი, „ტაირელი") და გაბრიელე ტარკვინიმ (იტალია, „კოლონი"), ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს და საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ.

27 წლის პიერ-ლუიჯი მარტინიმ (იტალია, „მინარდი") აშშ-ში მეექვსე ადგილი დაიკავა და ერთი ქულით მეჩვიდმეტე ადგილზე გავიდა, ხოლო მისმა თანატოლმა, ესპანელმა ადრიან კამპოსმა ვერაფრით გამოიჩინა თავი, უფრო მეტიც, იგი თვით მარტინიმ შეცვალა „დეტროიტის" ტრასაზე.

როგორც იცით, 28 წლის მრბოლებში შეუდარებელი იყო ბრაზილიელი აირტონ სენა („მაკლარენი"). კარგად იასპარეზა ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა („ფერარი") და იტალიელმა ალესანდრო ნანინიმ („ბენეტონი"). ესპანელი ლუის პერეს-სალა („მინარდი") ძალზე სუსტად გამოვიდა, ხოლო იტალიელმა ანდრეა დე ჩეზარისმა („რიალი") აშშ-ში მეოთხე ადგილი დაიკავა და 3 ქულით მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა.

აირტონ სენამ მოიგო 8 „გრან-პრი", აქედან 4 ზედიზედ. 3-ჯერ მეორე იყო, ერთხელ — მეოთხე და ერთხელ — მეექვსე. მოიგო 12 საკვალიფიკაციო რბოლა, აქედან პირველი ექვსი — ზედიზედ. მონაკოსა და კანადაში შეჯიბრების დროს ერთი წრე ყველაზე სწრაფად გაიარა. საერთო ჯამში დააგროვა 94 ქულა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გერჰარდ ბერგერმა მოიგო ერთი „გრან პრი". ორჯერ მეორე იყო, ორჯერ მესამე, სამჯერ მეოთხე, ერთხელ მეხუთე და მეექვსე. ბრაზილიაში ყველაზე სწრაფად გაიარა წრე. საერთო ჯამში დააგროვა 41 ქულა და ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

ალესანდრო ნანინის საუკეთესო შედეგი იყო ორჯერ მესამე (ინგლისი, ესპანეთი) ადგილი. გერმანიაში მან ერთი წრე ყველაზე სწრაფად გაიარა, დააგროვა 15 ქულა და პირად ჩათვლაში მერვე ადგილზე გავიდა.

30 წლის პილოტებს შორის საუკეთესო იყო ბელგიელი ტიერი ბუტსანი („ბენეტონი"). მან ექვსჯერ მესამე ადგილი დაიკავა, აქედან ხუთჯერ საპატიო კვარცხლბეკზე სენასა და პროსტის გვერდით იდგა, დააგროვა 31 ქულა და ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა.

ამერიკელმა ედი ჩივერმა („ეროუზი") იტალიაში მესამე ადგილი დაიკავა, პირად ჩათვლაში კი მეთოთხმეტე იყო.

31 წლის მიქელე ალბორეტომ (იტალია, „ფერარი") იტალიაში მეორე ადგილი დაიკავა. ინგლისში მოიგო საკვალიფიკაციო რბოლა. იტალიაში შეჯიბრების დროს ერთი წრე ყველაზე სწრაფად გაიარა. დააგროვა 24 ქულა და ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა. მისმა თანატოლმა ჯონათან პალმერმა (ინგლისი, „ტაირელი") 5 ქულით მეთორმეტე ადგილი დაიკავა.

32 წლის პილოტებმა: ფრანგმა ფილიპ სტრაიფმა („ა-ჟე-ეს") და შვედმა სტეფან იოჰანსონმა („ლიჟიე") ჩასათვლელი ქულები ვერ, მიიღეს.

33 წლის ავტომრბოლებს შორის შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს ორგზის (1985-1986 წწ.) ჩემპიონმა, ფრანგმა ალენ პროსტმა („მაკლარენი"). მან მოიგო 7 „გრან პრი". ამდენჯერვე მეორე იყო. მოიგო 3 საკვალიფიკაციო რბოლა. 5 ეტაპში ერთი წრე ყველაზე სწრაფად გაიარა. პირველ ოთხ ეტაპში 36 შესაძლებლობიდან 33 ქულა დააგროვა და გააუმჯობესა ემერსონ ფიტიპალდის (31 ქულა, 1973 წელს), ალბერტო ასკარის (30 ქულა, 1953 წელს) და ნიკი ლაუდას (30 ქულა, 1976 წელს) რეკორდები. საერთო ჯამში პროსტმა დააგროვა 105 ქულა, მაგრამ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

მისი თანატოლი, ინგლისელი დერეკ უორვიკი („ეროუზი") 15 ქულით მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ფრანგმა ფილიპ ალიემ („ლოლა") და დებიუტანტმა, არგენტინელმა ოსკარ ლარაურიმ („ეურობრუნი") ძალზე სუსტად იასპარეზეს.

34 წლის ნაიჯელ მენსელს (ინგლისი, „უილიამსი") წელს არ გაუმართლა. ავადმყოფობის გამო რამოდენიმე ეტაპში ვერ იასპარეზა. ინგლისსა და ესპანეთში მეორე იყო. „სილვერსტოუნზე" ერთი წრე ყველაზე სწრაფად გაიარა. ბრაზილიასა და უნგრეთში საკვალიფიკაციო რბოლის დროს მეორე შედეგი აჩვენა. საერთო ჯამში მენსელმა დააგროვა 12 ქულა და ჩემპიონატში მეათე ადგილზე გავიდა. მისმა თანატოლმა და თანაგუნდელმა რიკარდო პატრეზემ 8 ქულა დააგროვა და მეთერთმეტე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს სამგზის (1981, 1983, 1987 წწ.) ჩემპიონი, 35 წლის ბრაზილიელი ნელსონ პიკე („ლოტუსი") 20 ქულით მეექვსე ადგილზეა. სამჯერ მესამე იყო, ერთხელ — მეოთხე, ორჯერ მეხუთე და ერთხელ — მეექვსე. მისი თანატოლი და თანაგუნდელი, იაპონელი სატორუ ნაკაჰიმა ბრაზილიაში მეექვსე იყო და ჩემპიონატში მეთექვსმეტე ადგილზე გავიდა ერთი ქულით.

36 წლის იტალიელმა პიერ-კარლო გინძანიმ („ცაკსპიდი") და 39 წლის ფრანგმა რენე არნუმ („ლიჟიე") ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს.

დაბოლოს, იმ სარეკორდო შედეგების შესახებ, რომლებიც „მაკლარენ-ჰონდას" პილოტებმა აჩვენეს.

აირტონ სენამ და ალენ პროსტმა 11 ეტაპის ჯამში 147 ქულა მოიპოვეს. ოთხი წლის წინ კი პროსტმა და ლაუდამ 143,5 ქულა დააგროვეს 16 ეტაპის შემდეგ. ორივემ ერთად მოიგო 15 „გრან პრი" 16-დან. ოთხი წლის წინ ლაუდამ და პროსტმა მოიგეს 12 ეტაპი 16-დან. სენამ და პროსტმა 10 დუბლი შეასრულეს.

„მაკლარენ-ჰონდა" 199 ქულით პირველ ადგილზე გავიდა და 62 ქულით გააუმჯობესა „უილიამსის" შარშანდელი რეკორდი.

დავით ჩუბინიძე.

ნხლ-ს რეკორდსმენები

პროფესიონალური ჰოკეის „ვარსკვლავმა" კანადელმა უეინ გრეცკიმ, რომელიც ამჟამად „ლოს-ანჯელეს კინგზში" გამოდის თავის სპორტულ კარიერაში წარმატების ახალ ზღვარს მიაღწია. „დეტროიტ რედ ვინგზთან" შეხვედრაში მეექვსასე შაიბა გაიტანა და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის უძლიერეს ბომბარდირთა ხუთეულში. შეგახსენებთ, რომ ახლა ეს ხუთეული გამოიყურება ასე: გორდი ჰოუ, მარსელ დიონი, ფილ ესპოზიტო, ბობი ჰალი და უეინ გრეცკი. საინტერესოა ერთი დეტალიც: პირველმა ოთხეულმა ამ წარმატებას 14 სეზონის განმავლობაში მიაღწია, გრეცკის კი ამისთვის მხოლოდ 10 სეზონი დასჭირდა.

„კინგზის" თავდამსხმელი საუკეთესო სპორტულ ფორმაშია და დღესდღეობით ნხლ-ს წლევანდელ ჩემპიონატში ბომბარდირთა შორის მესამე ადგილზე იმყოფება — 50 ქულა (17 გოლი და 33 საგოლე პასი). აქ პირველ ადგილზეა „პიტსბურგ პინგვინზის" თავდამსხმელი მარიო ლემიე, რომელიც გრეცკის 7 ქულით უსწრებს.

ანდაზისა არ იყოს...

მადა ჭამაში მოდისო, ალბათ ეს ანდაზა მიესადაგება ესპანელებს, რომელთა ქალაქმა ბარსელონამ მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა. ახლა კი ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი განიხილავს საკითხს — ცენტრალურ პირენეის მთებში მდებარე პატარა ქალაქი ხაკა 1998 წლის ზამთრის თამაშების ჩატარების კანდიდატად რომ წარადგინოს. ამ პატარა დასახლებას საერთაშორისო ასპარეზობათა ჩატარების გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს. მაგალითად, იქ 1982 წელს ჰოკეიში მსოფლიო პირველობის „C" ჯგუფის ორთაბრძოლები გაიმართა.

„სპორტლოტო"

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" [illegible], 46 [illegible] ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 6 (ძიუდო), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 39 (ბადმინტონი), 45 (შაში).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 17 (საციგურაო სპორტი), 24 (ხელბურთი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სპორტკლუბ „სინათლის" გამგეობა აკომპლექტებს ფასიან საბონემენტო ჯგუფებს მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები, ქალები), ჭიდაობა ძიუდოში (ვაჟები, ქალები) და ათლეტურ ტანვარჯიშში (ვაჟები).

მისამართი: ტელმანის ქ. № 8., ტელეფონი: 34-06-10.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო";

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მარათე" — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10962